

ვაქცინაციის პროგრამა



N+ ნიუკასლის დაავადების ვაქცინაა, რომელიც დამზადებულია ვირუსის VII გენოტიპის ბაზაზე. ვირუსის VII გენოტიპი პირველად აღმოჩენილ იქნა კორეაში, კომპანია KBNP-ის მიერ. ის აზიაში ყველაზე გავრცელებული გენოტიპია. მისი გავრცელების არეალი მოიცავს კავკასიას და მათ შორის საქართველოს.

ნიუკასლის დაავადების წინააღმდეგ ძველი შტამებით ბრძოლა ფაქტობრივად უკვე შეუძლებელია. სწორედ ესაა ბოლო წლებში გავრცელებული ჭირიანობის მიზეზი. VII გენოტიპი ფარავს დღემდე აღმოჩენილ ყველა სხვა შტამს, მათ შორის ლასოტას. მისი გამოყენება ბოლომდე მოგიხსნით ნიუკასლის დაავადების პრობლემას.



B+ ინფექციური ბრონქიტის ახალი თაობის ვაქცინაა (შტამი K2), რომელიც მოიცავს როგორც კლასიკურ, ასევე ნეფროფათოგენურ შტამებს, რომლებიც გამონვეულია ინფექციური ბრონქიტის ველური ვარიანტების მიერ (მაგ.: Qx).

კლასიკური ვაქცინების (მაგ.: H120) გამოყენება მოძველებული მიდგომაა, რის გამოც გამონვეულია ფართოდ გავრცელებული რესპირატორული ბრონქიტი (სშირად გამოიხატება ქათმის ე.წ. ხიხინით). B+ ვაქცინა მოგიხსნით როგორც ხიხინის პრობლემას, ასევე მოსპობს ნეფროპათოგენური შტამების გავრცელების რისკს, რომელიც ანადგურებს ისეთ მნიშვნელოვან ორგანოებს, როგორებიცაა თირკმელი და ღვიძლი.

მნიშვნელოვანია რომ ვაქცინაციის პროგრამაში გამოყენებულია ინფექციური ბურსიტის (გამბოროს) ახალი შტამის ვაქცინა. რომელიც გადაგაზღვევთ ამ არასასურველი დაავადებისგან



Bursa-M (გამბორო) - ინფექციური ბურსიტის ვირუსი KGV85 შტამი, მშრალად გაყინული ცოცხალი ვაქცინა. პროდუქტი გამოიყენება ფრინველების ასაცრელად ინფექციური ბურსიტის (გამბორო) პრევენციის მიზნით. შეიცავს ინფექციური ბურსიტის ვირუსს (შტამი KGV85), რომელიც გამოყვანილია სუფთა კვერცხებში.

სრული ეფექტის მისაღებად, მიჰყევით ქვემოთ მოცემულ ვაქცინაციის პროგრამას.

რეკომენდირებული ვაქცინაციის პროგრამა

